



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

28 ნოემბერი 2025



N 739/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა, ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „რუსთავილის“ (სკ: 404508207) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 30 აპრილს (სააგენტოს N 4264) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ქ. რუსთავში, სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება (წარმადობის გაზრდა, ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა)) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N 233/ს; 08/05/2025), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „BS Group-ის“ მიერ.

2018 წლის 26 ნოემბერს სს „რუსთავილის“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს (სარეზერვუარო პარკი ნედლეულის და პროდუქციისათვის - 19 560 მ³ მოცულობით) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-949). სს „რუსთავილის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა აღნიშნული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N38; ბრძანება N334/ს; 28/06/2025).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/7377) სს „რუსთავილის“ მიერ 27 ოქტომბერს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (წერილი N 10573), რომელიც ეხება საწარმოს სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში შემავალ ობიექტებს, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიშში ბიტუმის შუალედური რეზერვუარების კონსტრუქციის ჰერმეტიულობის, ასევე, საწარმოს ტერიტორიაზე, მათ შორის, ტუმბოების განთავსების უბნებზე შუალედური ნავთობდამჭერების/შემკრებების არსებობის და საბოლოო ნავთობსეპარატორის ჰერმეტიულობის საკითხებს და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა

საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N 681/ს; 03/11/2025). დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

2024 წლის 8 ივლისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ განთავსებული, სს "რუსთავიილის" (ს/კ 404508207) კუთვნილი ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი ობიექტის დათვალიერება/შესწავლა და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ - მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №084287ოქმი, რომელიც განსახილველად დეპარტამენტის 2024 წლის 9 ივლისის №DES12400044467 წერილით გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი ობიექტი მდებარეობს ქ. რუსთავში, სს „რუსთავიილის“ საკუთრებაში არსებულ, 97 621 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.07.02.897). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 340 მეტრით. ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს შპს „ქართული ცემენტის“ (02.07.02.599; 02.07.02.035) კუთვნილი ტერიტორიები. ტერიტორიების საკადასტრო საზღვრებს შორის მანძილი შეადგენს დაახლოებით 260 მეტრს. საპროექტო ნაკვეთს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება შპს „რუსთავის ფოლადის“ კუთვნილი ტერიტორია (ს/კ 02.07.04.830). სს „რუსთავიილის“ ტერიტორიის აღმოსავლეთით ფუნქციონირებს სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ხაზი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რკინიგზის ხაზი. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სს „რუსთავის აზოტსა“ (ს/კ 02.07.01.887) და სს „რუსთავიილის“ შორის მანძილი შეადგენს 470 მეტრს. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. მტკვარი დაშორებულია დაახლოებით 3,0 კმ.-ის დაშორებით. ტერიტორიას დასავლეთით და სამხრეთით გარს აკრავს მიწისზედა მაგისტრალური ღია სარწყავი არხი („მარინის არხი“), მანძილი საკადასტრო საზღვარსა და არხს შორის შეადგენს დაახლოებით 650 მეტრს.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია. ანგარიშში მოცემულია ბენზინის უბანზე ნახშირწყალბადების გაფრქვევების შემცირების მიზნით ორთქლის დამჭერი მოწყობილობების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, ნავთობპროდუქტების მიღების, გაცემის და შენახვისას არსებული დანაკარგებისა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შემცირებისთვის, შერჩეულ იქნა ნავთობპროდუქტების რეკუპერაციის დანადგარი - ორთქლის დაჭერის და აღდგენის სისტემების გამოყენებით. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

2018 წლის 26 ნოემბრის N 2-949 ბრძანებით სს „რუსთავიილზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად ობიექტის სარეზერვუარო პარკის შემადგენლობაში შედის: მაზუთის რეზერვუარი - 2 ცალი, თითოეული 3000 მ³ მოცულობის; გუდრონის რეზერვუარი - 2 ცალი, თითოეული 100 მ³ მოცულობის; პროდუქციის შესანახი რეზერვუარები სულ 6 ცალი, მათ შორის: 4 ცალი 1000 მ³ მოცულობის (თითოეული); ერთი ცალი 3000 მ³ მოცულობის და ერთი ცალი 2000 მ³ მოცულობის; გადასამუშავებელ 2 საამქროში ზეთების შუალედური შესანახი რეზერვუარები სულ 12 ცალი, თითოეული 30 მ³ მოცულობის (180+180=360 მ³) და ბიტუმის გასაცემი რეზერვუარი - 4 ცალი, თითოეული 1000 მ³ მოცულობის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სულ რეზერვუარების საერთო რაოდენობა შეადგენს: 26 რეზერვუარს. ხოლო, დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დღეის მდგომარეობით ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარების რაოდენობა და მოცულობები შემდეგია: 1000 მ³ მოცულობის 5 ცალი რეზერვუარი, 2000 მ³ მოცულობის 4 ცალი რეზერვუარი, 3000 მ³ მოცულობის 3 ცალი რეზერვუარი, 6-6 ცალი 30 მ³ მოცულობის (თითოეული) (180+180=360მ³ ჯამური მოცულობით), სულ 12 ცალი; 100 მ³ მოცულობის ერთი რეზერვუარი; რეზერვუართა საერთო რაოდენობა შეადგენს 25-ერთეულს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს და განთავსებულია სხვადასხვა ტექნოლოგიური დანადგარები და ობიექტები კერძოდ: სარკინიგზო და ბიტუმის საავტომობილო ესტაკადები; 1 ცალი ორთქლის და 1 ცალი ზეთის საქვაბე დანადგარი; ბიტუმის გამაცხელებელი დანადგარი; ნარჩენი აირების წვის ღუმელი; სატუმბი/საკომპრესორო სადგური; გამწმენდი ნაგებობა; დამხმარე ტექნოლოგიური დანადგარები.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ობიექტზე დაგეგმილია ბიტუმის წარმადობის გაზრდა და მაზუთის გადამუშავების ხაზზე დამატებით 4 ცალი ბიტუმის რეზერვუარის (თითოეული 3000 მ³), 1 ცალი მაზუთის (2000 მ³) და ორი ახალი ტექნოლოგიური ხაზის ექსპლუატაციაში შეყვანა, რაც გულისხმობს, ნათელი ნავთობპროდუქტების საცავისა (10 000 მ³ საერთო მოცულობა) და თხევადი გაზის საცავის (4 600 მ³ საერთო მოცულობით) მოწყობას. დაგეგმილი ცვლილებები ასევე ითვალისწინებს ძირითად საწვავად ნამუშევარი ზეთის გამოყენებას. გარდა ამისა, ასევე დაგეგმილია სხვა ტექნოლოგიური უბნების მოწყობა, კერძოდ: თხევადი გაზის მიმღებ/გამცემი, რკინიგზის დამატებითი და თხევადი გაზის ავტოცისტერნებში გამცემი ესტაკადის, სახანძრო წყლის 2000 მ³ მოცულობის ლითონის რეზერვუარის, რეკუპერაციის დანადგარის სადგურის მოწყობა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, დაგეგმილი რეზერვუარების საერთო მოცულობაა 49 535 მ³.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ბიტუმის წარმოების ხაზზე, გადასამუშავებელი მაზუთის წლიური რაოდენობა იქნება 960 000 ტ, ხოლო გუდრონის 480 000 ტ. მაზუთიდან გუდრონის მიღების პროცესში გუდრონთან ერთად წარმოიქმნება სხვა პროდუქტები. კერძოდ: ვაკუუმური გაზოილი-დიზელის ფრაქცია - 115 200 ტ; ზეთების ფრაქცია - 364 800 ტ; ბიტუმი - 432 000 (მაზუთი) + 480 000 (გუდრონი) = 912 000 ტ.

ძირითად საწვავად გამოყენებული იქნება: ნამუშევარი ზეთი - 1530 ტონა (1690 მ³/წელ); ნარჩენი (არაკონდენსირებული) აირი - 337403,0 მ³/წელ. ხოლო ალტერნატიული საწვავის წყაროს წარმოადგენს: ბუნებრივი აირი - ბიტუმის წარმოება 8351784 მ³/წელი; გუდრონის გაცხელება: ძირითად საწვავად ნამუშევარი ზეთის გამოყენების შემთხვევაში 1000000 მ³/წელ; ალტერნატიულ საწვავის (ბუნებრივი აირი) გამოყენების შემთხვევაში - 375000 მ³/წელ. ბუნებრივი აირის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი გაზმომარაგების ქსელიდან, ხოლო ნარჩენი ზეთის მომარაგება მოხდება შპს „თეგეტა მოტორსისგან“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტი იმუშავებს წელიწადში 365 დღე, სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 24 -ს.

ბიტუმის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს ბიტუმის მიღებას მაზუთიდან და გუდრონიდან. გუდრონი შემოტანილი იქნეს ობიექტზე ვაგონცისტერნებით ან ავტოტრანსპორტით, ან/და მიღებული იქნება სარექტიფიკაციო კოლონაში მაზუთის ორთქლიდან წყლით კონდენსირებით. მაზუთის მიღება მოხდება რკინიგზის ცისტერნებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, პროდუქციის გაცემა იწარმოებს, ავტოცისტერნებზე და ვაგონცისტერნებზე. ბიტუმის ჩატვირთვა განხორციელდება ავტოცისტერნებში/ვაგონცისტერნებში ნავთობპროდუქტების გაცემის კვანძებიდან სპეციალური ტუმბოების საშუალებით.

ბიტუმის წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში დაგეგმილია შემდეგი დანადგარების გამოყენება: სარექტიფიკაციო კოლონა (1 ც); გუდრონის დამჟანგავი კოლონა (3 ც); თბომცვლელები (16 ც); შუალედური საცავი (9 ც); ბიტუმის გაცხელების უბანი - ნარჩენი აირების წვის ღუმელი, წყალსაშხევი მაცივარი; საკომპრესორო; ორთქლის საქვაბე დანადგარი. რეკუპერატორის დანადგარის გამოყენება დაგეგმილია ნახშირწყალბადების ორთქლის წარმოშობის 3 უბანზე, კერძოდ: ფოლადის ვერტიკალურ რეზერვუარებზე; სარკინიგზო ესტაკადაზე და ავტო ესტაკადაზე.

რკინიგზით მიღებული მაზუთი გადაიტვირთება ტუმბოს საშუალებით, მაზუთის რეზერვუარებში, ხოლო რეზერვუარებიდან მიეწოდება სარექტიფიკაციო კოლონის მიმდებარედ არსებულ თბომცვლელებს. თბომცვლელიდან მაზუთი შედის ღუმელში, სადაც ცხელდება 390 – 410°C მდე ორთქლის წარმოქმნით, რომელიც გადაიტვირთება სარექტიფიკაციო კოლონის ყველაზე ზედა ნაწილში,

რომელშიც წყლით გაცივების ხარჯზე ადგილი აქვს მაზუთის ორთქლის კონდენსირებას - თხევად მდგომარეობაში გადასვლას, რა დროსაც სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში მაზუთის ორთქლიდან კოლონის შესაბამის საკონტაქტო მოწყობილობაზე გამოიყოფა სხვადასხვა ნავთობპროდუქტები: ვაკუუმური გაზოილი - დიზელის ფრაქცია; ზეთების ფრაქცია (საბაზისო ზეთი, ნათელი ზეთი); გუდრონი, მაზუთი, რომლის რექტიფიკაცია ვერ მოხდა. გამოყოფილი გუდრონი ტემპერატურით 390°C შედის თბომცვლელ-რეკუპერატორში, სადაც ხდება მისი გაცივება $220-225^{\circ}\text{C}$ -ამდე, რის შემდეგაც ტუმბოთი შედის მონაცვლეობით მომუშავე გუდრონის 3 დამჟანგავ კოლონაში, სადაც ჟანგბადით დაჟანგვის შედეგად მიიღება ბიტუმი. დამჟანგველებში გუდრონის დაჟანგვით მიღებული ბიტუმი გადაიტვირთება ბიტუმის შუალედურ რეზერვუარებში. საბოლოოდ ბიტუმი გადაიტვირთება ბიტუმის გასაცემ რეზერვუარებში. სარექტიფიკაციო კოლონაში მიღებული სხვა ნავთობპროდუქტები გადაიტვირთება ნავთობპროდუქტების შუალედურ რეზერვუარებში, საიდანაც პროდუქტების საწყობებში - რეზერვუარებში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნათელი ნავთობპროდუქტების საწარმოო ხაზის სამუშაო რეჟიმი წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოს ტერიტორიაზე ნათელი ნავთობპროდუქტების ნედლეულის განსათავსებლად დაგეგმილია 7 ცალი (ჯამური მოცულობით - $10\,000\text{ მ}^3$) ლითონის რეზერვუარის განთავსება, კერძოდ: ბენზინის (4ც, თითოეული - $1\,000\text{ მ}^3$) და დიზელის (3 ც, თითოეული - $2\,000\text{ მ}^3$) რეზერვუარი. ნათელი ნავთობპროდუქტების საწარმოო ხაზის რეალიზაციისთვის წლიურად გათვალისწინებულია ბენზინის- $120\,000\text{ ტ/წ}$, დიზელის- $150\,000\text{ ტ/წ}$ შემოტანა. ობიექტზე ასევე დაგეგმილია თხევადი გაზის საცავის მოწყობა, რისთვისაც გათვალისწინებულია 46 ცალი 100 მ^3 (საერთო მოცულობით $4\,600\text{ მ}^3$) ფოლადის რეზერვუარის განთავსება. თხევადი გაზის საცავის წარმადობა შეადგენს $8\,000\text{ მ}^3/\text{წ}$. ნამუშევარი ზეთისთვის დაგეგმილია 75 მ^3 მოცულობის რეზერვუარის მოწყობა.

ობიექტზე ნავთობპროდუქტების მიღება/გაცივების ოპერაციების განხორციელება გათვალისწინებულია რკინიგზის ვაგონცისტერნებით და ავტოცისტერნებით. ნავთობპროდუქტების შესაბამის რეზერვუარებში განთავსება ხდება სატუმბო სადგურების საშუალებით.

საწარმოში ადგილი ექნება წყლის გამოყენებას სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნით, ტერიტორიის მორწყვისათვის, სარექტიფიკაციო კოლონაში მაზუთის ორთქლის წყლით გაცივებისათვის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტზე წარმოიქმნება: სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო-სანიაღვრე და სანიაღვრე წყლები. სახანძრო მიზნებისთვის ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია 400 მ^3 მოცულობის წყლის რეზერვუარი. დაგეგმილია აგრეთვე დამატებით ერთი რეზერვუარის (მოცულობით $2\,000\text{ მ}^3$) განთავსება. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნით წყლის მოპოვება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილის ექსპლუატაციაში მიღება და შემდგომ ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენება. სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება დაგეგმილია ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ბიტუმის, ნათელი ნავთობპროდუქტების საცავების და გათხევადებული აირის რეზერვუარების მთელ ტერიტორიაზე იკრიბება სპეციალურ მიწისქვეშა მილსადენებში, რომელიც მიერთებულია საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ მიწისქვეშა ნავთობსეპარატორში, წარმადობით 15 ლ/წმ , სადაც ადგილი აქვს შეწონილი ნაწილაკებისაგან და ნავთობპროდუქტებისაგან გაწმენდას, მილსადენები გაივლის საკონტროლო ჭებს, რის შემდგომ ჩაშვებული იქნება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში.

ობიექტის რეკონსტრუქციის ეტაპზე გათვალისწინებულია ტიპიური სამშენებლო მანქანა მექანიზმების ფუნქციონირება, რომლის მიხედვითაც გამოყენებული იქნება ისეთი ტექნიკა როგორიცაა: ექსკავატორი, ამწე, თვითმცვლელი, და სხვა. სამშენებლო სამუშაოებში გაერთიანებულია შენობა-ნაგებობების მოწყობის სამუშაოები, როგორებიცაა: სარეზერვო ორთქლის და ზეთის საჭვების კაპიტალური შენობის მშენებლობა; ბიტუმის მიმღებ-გამცემი ესტაკადის მოწყობა დამატებითი სარკინიგზო ხაზის სახით, სადაც ამჟამად არსებულ ესტაკადას დამატება ასევე 16 ვაგონ-ცისტერნისათვის განკუთვნილი ესტაკადა, საიდანაც 8 ვაგონ-ცისტერნის ესტაკადა გათვალისწინებული იქნება მაზუთის და გუდრონის მიღებისათვის და

ბიტუმის გაცემისათვის (სულ 24 ცალი), ხოლო ნათელი ნავთობპროდუქტების მიღებისათვის გათვალისწინებული იქნება 8 ვაგონ-ცისტერნა. თხევადი გაზის მიღებისათვის მოეწყობა რკინიგზის ესტაკადა 8 ვაგონ-ცისტერნისათვის; სამშენებლო სამუშაოები ასევე ითვალისწინებს: თხევადი გაზის მიმღები და გამცემი სატუმბო სადგურების კაპიტალური შენობის მშენებლობას; ბიტუმის, მაშუთის, ტექნოლოგიურ ციკლში მიღებული პროდუქტების და ნათელი ნავთობპროდუქტების სარეზერვუარო პარკის მოედნის და შემოზვინვის მშენებლობას, სადაც ამჟამად არსებულ რეზერვუარების მოედანი გაფართოვდება - დაემატება დაგეგმილი რეზერვუარებისათვის შესაბამისი ფართობის მოედანი შემოზვინვით. თხევადი გაზის ავტოცისტერნებში გამცემი სარეზერვუარო პარკი შემოიზვინება; ყველა შემოზვინვის კედლები და ფსკერი დაიფარება არმირებული ბეტონის ფენით ორმაგი ჰიდროიზოლაციის ფენით; მიღებულ შენობა-ნაგებობებში და სარეზერვუარო პარკებში განთავსდება/დამონტაჟდება ტექნოლოგიური დანადგარები გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ყველა სამუშაო, მათ შორის სარკინიგზო ესტაკადების მშენებლობა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ რკინიგზის დეპარტამენტთან ერთობლივად. საწარმოს მოწყობისათვის (მშენებლობა/ტექნოლოგიური დანადგარების ექსპლუატაციაში შესვლა) დადგენილი ვადა განისაზღვრება 3 წლით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტების და ასევე დამატებით წარმოდგენილი პროექტის თანახმად, დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებული დანადგარების და მექანიზმების ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: კადმიუმის ოქსიდი, ნიკელის ოქსიდი, ტყვია, ქრომი, აზოტის ოქსიდი, აზოტის დიოქსიდი, დარიშხანი, გოგირდის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, ბუთანი, პროპანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები C_1-C_5 , ნაჯერი ნახშირწყალბადები C_6-C_{10} , ამილენები, ბენზოლი, ქსილოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ფენოლი, ეთილმერკაპტანი, ნავთობური ზეთი, ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_{12}-C_{19}$ და შეწონილი ნაწილაკები.

საწარმოს ფუნქციონირებისას გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მოთხოვნით ფონური მაჩვენებლები ქალაქის რუსთავის მოსახლეობის რიცხოვნობით (125-250 ათას. კაცი). წარმოდგენილი მასალების მიხედვით, გაბნევის ანგარიში შესრულებულია ობიექტის სამუშაო დატვირთვის პირობებში, რომლის მიხედვითაც ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს ობიექტიდან უახლოესი სახლის საზღვარზე (მანძილი 340 მ, მაქსიმალური კონცენტრაცია ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_{12}-C_{19}$, ზდკ -ს წილი შეადგენს 0,36მგ/მ³).

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად რეკუპერაციის დანადგარის გაფრქვევის მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის დანადგარი.

დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა დაანგარიშებული რაოდენობების შესახებ ინფორმაცია, მეთოდური სახელმძღვანელოს მითითებით (წარმოდგენილი მეთოდოლოგია ასტანა 2004. ზოგიერთი წყაროსთვის არ არის სწორი). წარმოდგენილი ინფორმაციით საბუთდება რომ რეკუპერაციის ქვეშ ბენზინის რეზერვუარები და ავტოცისტერნები გაერთიანებული არ არის, ხოლო განახლებულ ზდგ-ის ნორმების პროექტში გ-1 წყაროს დაანგარიშებისას ავტოცისტერნების შევსებისას გაფრქვევის წყაროს წარმოადგენს რეკუპერაციის გაფრქვევის მილი. გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენილია ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, განსახილველი ობიექტის ზემოქმედების ზონაში ანალოგიური ტიპის

ობიექტები არ ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის საზღვრიდან 500მ-იანი რადიუსის საზღვრებში ხვდება ისეთი საწარმოები, როგორც არის: სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმო, შპს „რუსთავის ფოლადი“ მეტალურგიული საწარმო, შპს „ქართული ცემენტის“- ქარხანა, რომელთა გაფრქვევის მონაცემები არ არის გათვალისწინებული კუმულაციური ზემოქმედების სახით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას. ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით კორექტირებას საჭიროებს წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შედეგად მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ისეთი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, როგორიცაა: ნარჩენი საღებავი და ლაქი, რომელიც შეიცავს გამხსნელებს ან სხვა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, გაპოხვის შედეგად მიღებული ნარჩენები, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი (ნალექი), ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ქსოვილები და სხვა. არასახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება ქაღალდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა, ხის შესაფუთი მასალა, შერეული მუნიციპალური ნარჩენები. არასახიფათო ნარჩენები გატანილი იქნება რეგიონში მოქმედ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებს. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები, ასევე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა.

თითოეული ბიტუმის და გუდრონის რეზერვუარიდან წელიწადში ერთჯერ დასუფთავების პირობებში წარმოიქმნება 3 მ³ შლამი, რაც ბიტუმის შლამის სიმკვრივის გათვალისწინებით 3000 მ³ მოცულობის რეზერვუარის შემთხვევაში შეადგენს 2,1 ტონას, ხოლო 1000 მ³ მოცულობის რეზერვუარის შემთხვევაში შეადგენს 0,8 ტონას, რაც შეეხება ზეთების და ნათელი ნავთობპროდუქტებისათვის, ერთი რეზერვუარის დასუფთავებისას საშუალოდ მიიღება 250 კგ. შლამი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობსეპარატორიდან ნალექის ამოღება ხორციელდება დანადგარის ზედაპირზე არსებული ორი ლუქიდან. ნავთობსეპარატორს გააჩნია შემოზვინვის გარეთ მდებარე ჰიდროჩამკეტი რომელიც მუდმივად ჩაკეტილ მდგომარეობაშია, საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი გაღება ოპერატორის მიერ. შლამის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს წელიწადში 0,1 ტონას. შლამი განთავსდება ჰერმეტიკულ კონტეინერებში, რომლებიც განთავსებული იქნება ნარჩენებისათვის განკუთვნილ მოედანზე და გადაეცემა ამ საქმიანობისათვის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო საწარმო და მისი მიმდებარე ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში, სადაც წლებია მიმდინარეობს სამრეწველო საქმიანობა, რის გამოც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ან საერთოდ აღარ გვხვდება ან ძალიან თხელი ფენით არის წარმოდგენილი. ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან საპოხი მასალების დაღვრის შემთხვევაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიხსნება დაბინძურებული გრუნტის ფენა და დროებით განთავსდება სახიფათო ნარჩენებისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე. ექსპლუატაციის ეტაპზე ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში მისი ღრმა ფენებში და ტერიტორიაზე გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გატარდება შემდეგი ღონისძიებები: ყველა შემოზვინვის კედლები და ფსკერი დაიფარება არმირებული ბეტონის ფენით ორმაგი ჰიდროიზოლაციის ფენით. შემოზვინვის შიდა მოცულობა გაცილებით აღემატება ყველაზე დიდი რეზერვუარის მოცულობის 110%-ს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. აგრეთვე, საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. გარდა ამისა, ობიექტი მთლიანად შემოღობილია, ამიტომ ტერიტორიაზე ცხოველების შემთხვევით გადაადგილების რისკი არ არსებობს. ტერიტორიის სიახლოვეს, ასევე არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ობიექტის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს მოძრავი ავტოტრანსპორტი. შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მაღალი ან საშუალო ინტენსივობის ხმაურის წარმოშობას და გავრცელებას ადგილი არ ექნება. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროების წარმოადგენენ: სატუმბო სადგურში ტუმბოები, ბიტუმის გამაცხელებელი დანადგარების ტუმბოები, შუალედური საცავების ცირკულაციური ტუმბოები, შუალედური საცავების ტუმბოები, გუდრონის დამჟანგველში გადატვირთვის ტუმბო, ბიტუმის გასაცემი ტუმბოები, საქვების თერმოზეთის ცირკულაციის ტუმბო არსებული ხმაურის წყაროების ერთობლივი მუშაობის შედეგად, შესაბამისი ანგარიშის საფუძველზე უახლოესი სახლის საზღვართან (340 მეტრი) ხმაურის დონე შეადგენს 27,4 დბა-ს. გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, უახლოესი მოსახლის საზღვარზე ხმაურის სტაციონარული წყაროების მუშაობის პირობებში ხმაურის დონე არ გადააჭარბებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებულ ზღვრულ ნორმებს. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია როგორც მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების შედეგად მოსალოდნელი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად რაიმე მნიშვნელოვანი საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების კვალი არ აღინიშნება, ამასთან ექსპლუატაციის პროცესი არ წარმოადგენს გეოლოგიური საფრთხეების გამომწვევ ქმედებებს.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაეგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტს, და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 20 ივნისს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, რუსთავის მუნიციპალიტეტის, შპს „BS Group“-ის, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და ამავე კოდექსის პირველი დანართის 29-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ქ. რუსთავში, სს „რუსთავილის“ სარეზერვუარო პარკით ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობის

ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა, ნათელი ნავთობპროდუქტების და თხევადი გაზის საცავების დამატება და ნარჩენების აღდგენა);

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;

3. სს „რუსთაველი“ ვალდებულია:

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ასევე ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი (რეკუპერაცია) მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ობიექტიდან უახლოესი სახლის საზღვარზე (მანძილი 340მ). მონიტორინგის გეგმაში ასევე, შეტანილი უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატების და შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელების საკითხი აზოტის დიოქსიდზე (NO_x), ნახშირბადის მონოქსიდზე (CO) და ნაჯერ ნახშირწყალბადებზე (CH₄) (კონკრეტული ნახშირწყალბადების მითითებით) 3 თვეში ერთხელ, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში. მონიტორინგის შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში წელიწადში ერთხელ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად). საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

დ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს ბიტუმის წარმოების ტექნოლოგიური (ერთი სარექტიფიკაციო კოლონის და სამი დაჟანგვის ბლოკის) დანადგარების/მონაცემების შესახებ დეტალური ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

ე) ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და სახანძრო უსაფრთხოების მუდმივი მონიტორინგი;

ვ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს (მოსალოდნელი ნარჩენებისთვის) სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტების მოწყობა, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტთან;

ზ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის

განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

თ) წარმოქმნილი გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვება უზრუნველყოს აღნიშნული სისტემის მფლობელთან შეთანხმების შესაბამისად;

4. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთაველის“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთაველის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/739-21-4-202511282055>

